# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 57 შაბათი, 13 მარტი 1910 წ. № 57



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე —10 კაპ. ხშვა ადგილიდან კავკასიის გარეშე; მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, [illegible] ნი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ხარშ[illegible] განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს; ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] წერილები და [illegible]. პირადად [illegible] კვირა-უქმეების გარდა [illegible] 10 [illegible] დღისის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, [illegible] № 14. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§§

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

„დროების" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба", И. С. Агладзе.



წარმოდ- **ქართული თეატრი** გენა № 1.

კვირას, 14 მარტს, 1910 წ. ქართულ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ცნობილი დრამა ქართველ ინტელიგენტთა ცხოვრებიდან

I

## „მეგობრობა"

4 მოქმედებად ნ. შიუკაშვილისა.

II

## „დრამატიულ საზოგადოების ფევრი"

კომედია 2 მოქმ. ივ. გომართლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძისა, ბ. ხებიერიძისა, ნ. კოლხიდელი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, ვ. იმხნელი, მგალობლიშვილი, შ. საფაროვი, კ. ჩელიძე.

ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია: ლოჟები 6 მან.-დან 2 მან.-მდე, პარტერი 2 მან.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** მორიგი რეჟისორი **ვ. გუნია**

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა.**



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 13 მარტს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **ვასო აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

## „ზალზე"

დრამა 4 მოქმედებად, პლატონისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თ. გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ნებიერიძე, ლეჟავა, ციმაკურიძე და ქიქოძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, მეტრეველი, პებანოვი, ზურაბიშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ა. ჭიაბეროვი.**


**მარიამ ანდრიას ასული, ნინო, გიორგი, ილარიონ, დავით, ვასილ ივანეს ასული** და ძენი **პაატაშვილები, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე** და **ნინო** და **ნიკოლოზ ჭიჭინაძეები**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ შვილის, მეორენი—ძვირფას დის, მესამე—დაუვიწყარ მეუღლის, დანარჩენნი ძვირფას რძლის

## ანნა ივანეს ასულის პაატაშვილი-ჭიჭინაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ავლაბარში, ეჩმიაძინის ქ., № 20. გამოსვენება კვირას, 14 მარტს, დილის 10 საათზე ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—179—1)

კვირას, 14 მარტს, ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სტუდენტის

## გრიგოლ პეტრეს ძის წულეისკირის

სულის მოსახსენებლად. რასაც განსვენებულის ჭირისუფალნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—კვ.—1)


## გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილი **აბრეშუმის ჭიის თესლი** ძმ. **პასხალიდის** ფირმისა.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. **ს. კუხში**—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. **ბათუმში**—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. **ქუთაისში**—კანტორა **„იმერეთში"** და კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში; 4. **ახალ-სენაკში**—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. **სამტრედიაში**—პორფილე ჭეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—2)



## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—27)



## ქართული თეატრი

**სამშაბათს, 16 მარტს,**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალო-სკოლის სასარგებლოდ

თავად-აზნაურთა თეატრში მოხდება

## გასამართლება

**დრამის „სამშობლო" გმირებისა: ქეთევანის და ლევან ხიმშიაშვილისა.**

გასამართლების შემდეგ ქ-ნ გოგოლაშვილის, ბ-ნთ მათირიშვილისა და იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## „პირველი და უკანასკნელი კოცნა"

ვოდევილი 1 მოქმ. (3—1)



## სავაჭრო ამხანაგობა „ობოროტი"

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

**ამით აუწყებს** მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტარს, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული, ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლად**, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—გაკ.—3)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და [illegible] 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 ს[illegible]

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—1[illegible]

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible]

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირაღოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო[ველ] დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—130)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—293)



**ექიმი** ქუთაისში **ფ. ი. ზასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—5)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—387)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—80)

## დ. ქარელში

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—16)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—138)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—121)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—24)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—37

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბჯეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—48)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში **გ. დ. ბეთანოვი**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—12)



**სახალხო უნივერსიტეტი**

(ზუბალაშვილის სახალხო სახლი).

კვირას, 14 მარტს,

ი. გ ა ე ვ ი

წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

## „ბრანდი გენრიხ იბსენისა".

დასაწყისი დილის 11 საათზე.

ფასი 5 კ. და 10 კ. (2—1)



## ხონის საურთიერთო კრედიტის

საზოგადოების **წლიური საზოგადო კრება** დანიშნულია კვირას, 28 ამა მარტს, დილის 11 საათისთვის ვაჟთა პროგიმნაზიის შენობაში.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1909 წლის ანგარიშისა.
2. არჩევანი საბჭოს ორი, გამგეობის ერთი და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, ნაცვლად ვადა გასულთა.
3. დამტკიცება 1910 წლის ხარჯთაღრიცხვისა.
4. შეცვლა 6 მუხ. § 17
5. შარაშიძის მამულის დაზღვევა.

(3—ნ.—2)



ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში ტფილისის მასწავლებელქალთა საზოგადოების სასარგებლოდ

## ა. ნ. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციას ბეთჰოვენზე

ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 30 კაპეიკამდე. ბილეთები ისყიდება ბარიატინსკის ქუჩა № 6. მასწავლ.-ქალთა საზოგადოების კანტორაში. (3—ნ.—2)



## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—7)



**ქ. თელავში**

პირველ ენკენისთვიდან ამ 1910 წლისა

## გაიხსნება ვაჟთა სრულ-უფლებიანი პროგიმნაზია

ვისაცა ჰსურს ყმაწვილების მოყვანა ამ გიმნაზიაში, იმათ უნდა თხოვნები ეხლავე შემოიტანონ გიმნაზიის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე. სწავლის ფასი დანიშნულია 80 მანეთი, რომელიც უნდა შემოტანილ იქმნას ორჯერად ნახევარ-ნახევარ წლისა. თხოვნებისათვის ბლანკები დასტამბულია. ცალკე იქმნება გამოცხადებული, როდისთვის დაინიშნება ბავშვების მისაღები გამოცდა. პროგიმნაზიასთან იქმნება მოსამზადებელი კლასები და საანბანო განყოფილებაც. (3—ნ.—5)


## სახალხო სკოლები და 1881 წ. პროგრამმა

ბევრი თქმულა და დაწერილა იმის შესახებ, თუ ეხლანდელი სასკოლო რეჟიმი რა სიმკაცრეს და განმანადგურებელ ძალას იჩენს არა-რუსთა სკოლებში, განსაკუთრებით კი ჩვენს სკოლებში. ამაზე კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, სანამ დღევანდელი ჩარხ-უკუღმართი ცხოვრება არ გადაიქმნება.

ამ ჟამად მსურს ორიოდე სიტყვით აღვნიშნო, რა განსაცდელს განიცდის ჩვენს სკოლებში ის მცირედი პროგრამაც კი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად იქმნა შემოღებული. მაშინ ჩვენმა გლეხებმა თითქმის ყველგან მიიტანეს იერიში სულთამხუთავ სასკოლო რეჟიმზე და მოითხოვეს ჩვენს სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება. ამან ის ნაყოფი მოიტანა, რომ შემოღებულ იქმნა 1881 წლის სასწავლო პროგრამმა, რომლის შემწეობითაც სამშობლო ენას მცირედი ადგილი დაეთმო. მას შემდეგ რამდენსამე ხანს ჩვენს სკოლებში ამ პროგრამმით სწარმოებდა სწავლა, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი მასწავლებელნი, რომელთაც სხვის გულის მოსაგებად უარჰყვეს ამ გეგმით სწავლება და დაუბრუნდნენ 1892 წლის სასწავლო პროგრამმას: პირველ განყოფილებაში შემოიღეს რუსული წერა-კითხვა. ასეთ ვაჟბატონების მეოხებით სახალხო სკოლების ზოგიერთი მოხელენი ნელ-ნელა შეუდგნენ ძველ პროგრამმის განხორციელებას იქ, სადაც 1881 წლის გეგმით იყო სწავლა. რაკი რჩევით ვერა გააწყეს რა და ამ მასწავლებლებს ხელი ვერ ააღებინეს 1881 წლის პროგრამაზე, ეხლა ბრძანებლობას მიჰმართეს და ზოგგან პირდაპირ მოითხოვეს მასწავლებლებისაგან, რომ პირველ განყოფილებაში რუსული წერა-კითხვა ძველებურად ისწავლებოდეს.

აი, ასეთი სამსახური გაუწიეს ჩვენს სკოლებს დედა-ენის ჩინ-მენდლებში გამყიდველმა პედაგოგ-აღმზრდელებმა. მათის მეოხებით მალე ყველგან ისევ ძველი პროგრამმა გამეფდება, თუ ამ გარემოებას ეხლავ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა. სახალხო სკოლების ის მასწავლებლები, რომელთა გულშიაც ჯერ არ ჩამქრალა სამშობლო ენის სიყვარული, უნდა ეცადნენ არ დაჰკარგონ ეს მცირედი უფლება, ამაღლონ ხმა და დაჰგმონ ზოგიერთი ამხანაგების საქციელი. ამისთანა რუსიფიკაციის მოტრფიალე მოხელეებს არავითარი უფლება არა აქვთ შესცვალონ 1881 წლის პროგრამმა, რადგან იგი ნამესტნიკის ბრძანებით არის შემოღებული და გაუქმებით-კი არავის გაუუქმებია. ე—რი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის მოწინავე პრესა სასტიკად ისჯებოდა, თუ გუბერნატორებისა და მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებაზე იტყოდა რასმე. სდევნიდნენ გაზეთებს იმისთვის, რაც ეხლა თვით პრემიერმა სტოლიპინმა თავის ცირკულიარით (ეს ცირკულიარი დაიბეჭდა, სხვათა შორის „გოლ. კავ-

კაზა“-ში) აღნიშნა და დაადასტურა, როგორც ფაქტი. იმდენად გატაცებულნი იყვნენ „კრამოლასთან“ ბრძოლით, რომ უმაღლესმა მთავრობამ ფართო უფლებანი მიანიჭა ადგილობრივ მმართველთ და თითქმის სრულის დამოუკიდებლობით აღჭურვა ისინი. აღარ გაიხსენეს ის, რომ შესაძლებელი იყო მმართველთ უკუღმართად მოეხმარნათ უსაზღვრობა მინიჭებულ უფლებათა. გაზეთებიდან და ისედაც ვიცით, რომ ბევრი შემთხვევა იყო უწესოებისა, უკანონობისა. ადგილობრივი მმართველნი სცემდნენ სავალდებულო დადგენილებებს და არღვევდნენ არსებულ კანონებსაც კი. მაგრამ გაზეთების ლაპარაკს ყურადღებას რას მიაქცევდნენ! დღეს თვით პრემიერის ცირკულიარი ფაქტად აღიარებს იმას, რისთვისაც ჯვარს აცვავდნენ ხოლმე გაზეთებს. რუსეთის არსებულ კანონების მიხედვით დანაშაულობის ჩადენის დროს პასუხის მგებელი თვით დანაშაულობის ჩამდენია და არა სხვა ვინმე. ყოველი ადამიანი მხოლოდ თავის დანაშაულობისთვის აგებს პასუხს. ასეა არსებულ ძირითად კანონებით, მაგრამ სულ სხვაა ადგილობრივ მმართველთა კანონებით. ცირკულიარი ამბობს:

„ზოგიერთი გუბერნატორი და გრადონაჩალნიკი თავის სავალდებულო დადგენილებებით მთელს სოფელს პასუხის მგებლად აღიარებს, თუ ვინმემ დანაშაულობა ჩაიდინა; მოწაფეთა დანაშაულისათვის მთელს პედაგოგიურს კრებულს აყენებენ პასუხის გების წინაშე“.

ამას ამბობს ცირკულიარი. საერთოდ, ცირკულიარი მეტად საინტერესოა. იგი საჭირო მასალას იძლევა იმის დასაფასებლად, თუ რამდენად კანონიერად იქცეოდნენ ადგილობრივი მმართველნი. ბევრი რამ სტრიქონებს შორის, გაკვრით არის აღნიშნული, ბევრი ნაგულისხმევია, მაგრამ უფლების გადამეტება აშკარაა. როგორც ცირკულიარი მოწმობს, ბევრი ისეთი სავალდებულო დადგენილება გამოუციათ რუსეთში მმართველთ, რომლითაც აუკრძალავთ ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა. ეს-კი თურმე ძირიანად ეწინააღმდეგება დღევანდელს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დადგენილებებს. არსებულ კანონით, დანაშაულობის ჩამდენი ერთხელ აგებს პასუხს კანონის წინაშე. ცირკულიარი კი აღნიშნავს, რომ დამნაშავეებს სამართალშიაც აძლევდნენ და ადმინისტრატიულადაც სჯიდნენ და სხვა. ცირკულიარში ბევრი სხვა მაგალითია მოყვანილი ამგვარ უკანონობისა.

დასასრულ, ცირკულიარი არიგებს მმართველთ, რევოლიუციონური ალი ჩაჰქრა, და ეხლა საჭიროა მეტის სიფრთხილითა და თავდაჭერილობით ისარგებლონ მინიჭებულ უფლებით, სავალდებულო დადგენილების გამოცემითაო. „მთავრობის ყოველი შეცდომა საბაბი იქნება რევოლიუციონურ ალის განცხოველებისაო“, ასე ამბობს პრემიერ-მინისტრი.

„რუსკ. ვედომ.“ პესიმისტურად უყურებს საქმეს და ამბობს:

ცირკულიარი გამოცემულია 1909 წ. 4 დეკემბერს, ე. ი. ამ ოთხი თვის წინად, დღევანდელი სინამდვილე არავითარ საბუთს არ იძლევა, ვსთქვათ, რომ უკვე ვიგრძენით ადმინისტრაციის თავდაჭერილობაო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

## საზღვარ-გარედ.

**სალონიკი.** 15 მარტს ალბანელთა ცენტრალურ კლუბის ინიციატივით მონასტერში გაიმართება ალბანელთა ყველა კლუბების წარმომადგენელთა კრება. აზრად აქვთ, ხალხში დიდი პროპაგანდა გასწიონ ლათინურ ანბანის საჭიროების შესახებ.

**ლონდონი.** ინდოელების და მაჰმადიანთა დღესასწაულები ერთ დღეს, 10 მარტს მოვიდა. ამის გამო მაჰმადიანებს და ინდოელებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია ორი ინდოელი და სამი მაჰმადიანი, დაჭრილია 40 კაცი.

**ეპირი.** ქალაქი ჯარმა დაიჭირა. წესიერება აღდგენილია. დააპატიმრეს აუარებელი ხალხი.

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ადის-აბებიდან დეპეშით ატყობინებენ: თემების მეთაურებმა დაადგინეს დედოფალს ნება არ მისცენ, სახელმწიფო საქმეებში ჩაერიოს, უკანონოდ გამოაცხადონ დედოფლის განკარგულებანი და ჯარის უფროსებად წინანდელი კაცები დანიშნონ. იმედი აქვთ, რომ კრიზისი მშვიდობიანად გათავდება.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ფალის სიტყვით ტარნოვსკაიას დეიდა ჭკუაზედ შეიშალა, მისი სამი შვილი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში იმყოფებიან, აგრეთვე ჭკუაზედ შეშლილი იყო ტარნოვსკაიას დიდ-დედაც. კიეველ ნაფიცმა-ვექილმა ბერნშტეინმა განაცხადა: როდესაც ტარნოვსკაიამ გადაჰსწყვიტა ქმარს გაჰყროდა, ეს საქმე მე მიმანდო. დამნაშავედ ტარნოვსკი იქმნა ცნობილი. ტარნოვსკაია მაჩქარებდა საქმე ჩქარა გამეთავებინა, რომ კომაროვსკის გაჰყოლოდა. ოღონდ ჩქარა გათავებულიყო საქმე და ტარნოვსკაია თანახმა იყო დამნაშავედ თავის თავი გამოეყვანა. ტარნოვსკაიას დიდის პატივისცემით ვეპყრობოდი. პრილუკოვს კარგის მხრით ვიცნობდით. ბერნშტეინმა სასამართლოს დაწვრილებით უამბო ტარნოვსკაიას და მისი ქმრის საქმე. ექიმმა, რომელიც 12 წლის წინად გენუაში ტარნოვსკაიას სწამლობდა, სთქვა: ტარნოვსკაიას ავადმყოფობის დროს მისი ქმარი სახლში ერთ წუთსაც არა ჩერდებოდა და ყოველთვის მთვრალი ბრუნდებოდა სახლშიო. სატუსაღოს ექიმების სიტყვით ტარნოვსკაია ნერვებით არის ავად. სხვათა შორის, მათ უამბეს მოსამართლეებს, თუ სატუსაღოში ტარნოვსკაიამ როგორ მოიწამლა თავი. მოწყალების დის სიტყვით, რომელიც ტარნოვსკაიას უვლიდა, ტარნოვსკაიას ხშირად გულს შემოეყრებოდა ხოლმე. ექიმებმა ბონაფინმა და ჩიარლომ განუცხადეს, პრილუკოვი სატუსაღოში ძალიან კარგად იქცეოდა და ერთ დროს თავის მოკვლა განიზრახა, მაგრამ დროზედ მოვასწარითო. ექიმის ჩიარლოს ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ნაუმოვი მალე ღელდება და ნერვებით არის ავად.

**ჰააგა.** დედოფალმა შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით დანიშნა კომისია, რომელიც კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საკითხს განიხილავს.

**ჩიკაგო.** შეთანხმდნენ დასავლეთ რკინის გზების გამგეობა, მაშინისტები და მათი თანაშემწეები.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ადის-აბებიდან ატყობინებენ: იმპერატორი მენელიკი სიკვდილის პირსაა. თემების მეთაურებმა ჩამოაგდეს დედოფალი და აიძულეს სასახლე მიეტოვებინა. თემების მეთაურებმა ახალ იმპერატორს შეჰფიცეს. წესიერება არ დარღვეულა.

**რომი.** დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ უარი განაცხადა სამინისტროს შედგენაზედ.

**სალონიკი.** რადგანაც დემირგისარის ოლქში ბოლგარელი რაზმელები გაჩნდნენ, მთავრობამ ოხრიდის ოლქის სოფლები დაჩხრიკა. გაჩხრეკა უშედეგოა. დააპატიმრეს 10 კაცი.

**კატანია** (იტალია). რამდენიმე დღეა ეტნის ვულკანი მოქმედებს. ათი ნაპრალიდან ამოდის ლავა (ნაცარ-ტუტა) და ფერფლი. ლავამ და ფერფლმა დაჰფარა რამდენიმე ვენახი და მრავალი სახლი.

## სპარსეთი

**თავრიზი.** შინაურ სესხის ხელისმოწერისაგან აქნობამდის 260 მანეთი შემოვიდა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** სენატმა განმარტა: 1) მინისტრებს უფლება არა აქვთ, ის საქმეები, რომლებიც შეეხებიან ქალაქების დაჯილდოვებას ჩამორთმეულ მამულებისათვის უკან დაუბრუნონ დამფასებელ კომისიებს ხელმეორედ შესაფასებლად, მინისტრებს მხოლოდ უფლება აქვთ, თუ კომისიის მოქმედება უკანონოდ იცნეს, ეს საქმეები სახელმწიფო საბჭოს გადასცენ; 2) იმიერ-ბალტიის მხარის ქალაქის თვითმართველობებში საქმეებს უსათუოდ რუსულ ენაზე უნდა აწარმოებდნენ.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატამ განიხილა ოცი კაცის საქმე. ბრალდებოდათ სუვალკის საავადმყოფოდან ბოროტგანმზრახველის განთავისუფლება. პალატამ ყველას სხვა და სხვა ვადით კატორღა გადაუწყვიტა. ამათი საქმე პირველად სუვალკის სასამართლომ განიხილა და 13 კაცი გაამართლა.

**რომანოვ-ბორისოგლებსკი.** სასამართლომ განიხილა ექიმის მაკაროვის საქმე. ბრალდებოდა მცირეწლოვან ქალიშვილთა გაუპატიურება. სასამართლომ მაკაროვს 6 წლით კატორღა მიუსაჯა.

**ასტრახანი.** ღამე სამების ტაძრიდან უცნობებმა მოიპარეს მიტრა, პანაგია, ბარძიმ-ფეშხუმი და სამი ჯვარი.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა სავიცკის და ექვსი კაცის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ პოლონეთის მასწავლებელთა საზოგადოების წევრობა, რომლის მიზანიც იყო რუსულ სკოლის ბოიკოტი. ამის გულისთვის სამოსამართლო პალატამ ყველას სხვა და სხვა ვადით ციხე მიუსაჯა.

**ოდესსა.** ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა პოლონური საგანმანათლებლო საზოგადოება.

**პეტერბურგი.** რკინის გზების სამმართველო აცხადებს: კანსკში პოლიციამ აღმოაჩინა ბოროტგანმზრახველთა ჯგუფი, რომელიც ციმბირის რკინის გზების ტეხნიკურ განყოფილების უფროსის სახელით სხვა და სხვა პირებს ძვირფასს საქონელს უკვეთავდა და შემდეგ ითვისებდაო.

**პეტერბურგი.** არა-პირდაპირ გადასახადთა მთავარმა გამგეობამ საქციზო გადასახადთა უფროსებს წინადადება მისცა, მიიღონ ზომები, რომ მოისპოს საიდუმლოდ მაგარ სასმელების გაყიდვა, საქციზო გადასახადთა უფროსებმა დამნაშავეებს ადმინისტრატიულის წესით რაც შეიძლება დიდი ჯარიმა უნდა დაადონ და უნდა შეეცადნენ, რომ დამნაშავეები უსათუოდ სამართალში იქმნენ მიცემულნი. საქმის კარგად წაყვანისათვის საქციზო გადასახადთა უფროსებმა გუბერნატორებს უნდა მიმართონ და მათთან ერთად საჭირო ზომები უნდა შეიმუშავონ.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „წესდება“, — მოთხრობა (დასასრული) უიარაღოსი; სურათები: „დედა და შვილი“, ამერიკელი მილიარდერი როკველერი, ტარნოვსკაია და სამი კარიკატურა (ეშმაკი და ტფილისელი შანტკლერები).**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე თათბირი იქონია განსვენებულ კონსტანცია ტურიაშვილის ნაანდერძევ ქონებაზე და დაადგინა, შეადგინოს სია და ცნობაში მოიყვანოს ფულად, ნივთებად თუ ფასიან ქაღალდებად დატოვებული ქონება. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადასტურა საზოგადოების ფოთის წევრთა კრების დადგენილება ფოთში განყოფილების დაარსების შესახებ და დაადგინა, აცნობოს სათანადო მთავრობას ამ განყოფილების დაარსების ამბავი. გამგეობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება ს. ალკანაში (გურიაში) საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ და დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

**✦ სამხედრო სამართალში.** ნამესტნიკის განკარგულებით, საქმე სურამის ბოქაულის ალბერტოვის მოკვლის განზრახვის შესახებ გადასცეს კავკ. სამხედრო საოლქო სასამართლოს.

**✦ ტყუილი ამბავი.** ამას წინად „კავკაზი“-დან გადმოვბეჭდეთ ამბავი ქართლში, ციციანთ ტყეში, ყაჩაღებისა და სტრაჟნიკების შეტაკების შესახებ. ნათქვამი იყო, რომ შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ ხცისის მამასახლისი ნადირაძე და ორი სტრაჟნიკიო. ეხლა თვითონ „კავ.“ აცხადებს, რომ არაფერი ამისთანა არ მომხდარა და მამასახლისი და სტრაჟნიკები ცოცხლები არიანო.

**✦ სომხების დაპატიმრება.** „სურანდაკის“ სიტყვით, ალექსანდროპოლში 6—8 მარტს სამოცამდე სომეხი დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულთა შორის არიან თურმე: ნაფიცი ვექილი ტერ-მარტიროსიანი, მასწავლებელი ბუდაღიანი, წვრილ კრედიტის საზოგადოების დირექტორი თათევოსიანი, სტამბის პატრონი სანოიანი და სხვანი.

**✦ ახალი რუსული ჟურნალი.** ნაფიც ვექილს ალექსანდრე ყანჩელს რუსულ ჟურნალის გამოცემის შესახებ შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე. ჟურნალს ერქმევა: „Кавказская Недѣля“.

**✦ კანდიდატი ქალაქის თავის თანამდებობაზე.** როგორც ვწერდით, განჯაში გარდაიცვალა ქალაქის თავი ასკერ-ბეკ ადიგეზალოვი. გაზეთების სიტყვით, კანდიდატად ქალაქის თავის თანამდებობაზე ასახელებენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, „კასპის“ რედაქტორად ნამყოფს და სახელ. სათათბიროს დეპუტატს მარდან-ბეკ თოფჩიბაშევს.

**✦ უვარგისი თევზი.** ქალაქის საბჭოს ექიმმა გედალინმა ადგილობრივ ბოქაულის და სანიტარის თანადასწრებით შუა ბაზარში დაათვალიერა სანოვაგის დუქნები. ექიმმა

# შთაბეჭდილებანი

(მოსკოვის სამხატვრო თეატრი)

(დასასრული *)

ჩვენში ჩვეულებად გადაიქცა, რაც არ მოგვეწონება პიესაში, ვშლით და ვამბობთ—ეს მეტიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ არა თუ ავტორი და მის მიერ შექმნილი ტიპები განვაცხოველეთ ჩვენს გონებაში, არამედ პიესის შინაარსიც ვერ გავიგეთ და ჩვენის ტლანქის ხელებითა და ტალახიანის ფეხებით შევძვრებით ავტორის ფაქიზ სულში. კარგ პიესაში „მეტი“ არაფერი არ არის. ყველაფერს თავისი აზრი აქვს და დამოკიდებულია, გამომდინარე თუ წამძღვარებული მეორე აზრთან. ვიცი, შექსპირზე მიმითითებენ და მეტყვიან: „შეუძლებელია მისი პიესების შეუმოკლებლად წარმოდგენა; ბევრი მეტი სცენა და სიტყვა აქვსო“. ტყუილია, შექსპირს „მეტი“ არაფერი არა აქვს. არა თუ სიტყვები, უბრალო მკვდარი წერტილიდანაც კი სიბრძნე გამოსჭვივის. აბა დაკვირვებით წაიკითხეთ ყველა ის ადგილი, რომელსაც ჩვეულებისამებრ ვშლით და ვტოვებთ, თუ რამდენი ობოლი მარგალიტი დაინახოთ იქ. მართალია, ძნელია წარმოდგენა ეხლა, როდესაც სასცენო ტეხნიკა გართულდა და უმაღლეს წერტილამდე ავიდა. შექსპირის დროს, როცა დეკორაციები არ იყო, სრულად თამაშობდნენ და არც უძნელდებოდათ. მერე ვინ დაგვიშლის ჩვენც ეგრე ვითამაშოთ, ოღონდ პიესის შინაარსს კი ნუ შევეხებით. ოქროს ვარაყიანი კედლები რომ არ იყოს სცენაზე, ვითომ „ჰამლეტის“ სიბრძნე ამით რასმეს დაჰკარგავს? არა მგონია!

დრო იყო, როცა დრამატიული ნაწარმოები მსახიობს მიაჩნდა თავის ნიჭის სათარეშო ასპარეზად, თავის პიროვნების გამოსაჩენად (ამის მაგალითი მრავალია). ყველაფერი ერთის გარშემო ტრიალებდა, მხოლოდ ერთი იყო სცენაზე მთელს პიესაში და დანარჩენი, თუ მთელი გამოკლებული არ იყო, დასტოვებდნენ იმდენ სიტყვებს, რამდენიც ამ ერთისათვის აუცილებელ რეპლიკას წარმოადგენდა. ამგვარად მაყურებელს პიესიდან არაფერი არა რჩებოდა. იმის გონებაში მხოლოდ ერთი მსახიობი ტრიალებდა. ვერც პიესის შინაარსს გაიგებდა, ვერც იდეას. ხშირად ვერც იმას გამოარკვევდა, თუ „ამ გმირმა“ რისთვის მოიკლა თავი ან რა დანაშაულისთვის მოჰკლეს?

ეხლა სულ სხვა ხანა დადგა. ეხლა მაყურებელს ერთი ან ორი მსახიობი კი არ უნდა სცენაზე—მას უნდა საერთო ანსამბლი, პიესა, მისი შინაარსი, ავტორის იდეა და პასუხი იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელსაც ცხოვრება ყოველ წუთს წინ აყენებს. საბედნიეროდ, პიესებიც ამგვარი იწერება.

ამ მხრივაც დიდი დამსახურება მიუძღვის მოსკოვის სამხატვრო თეატრს. აქ არ ირჩევა ერთი ან ორი მსახიობი. იმიტომ კი არა, რომ არ არიან ნიჭიერნი. ნიჭიერი ბევრია, მაგრამ იმდენად ხმა შეწყობილად თამაშობს, ისე შეგნებულად ასრულებს თითეული მათგანი თავის როლს, რომ, როგორც ზევითა ვსთქვი, პირველობას ვერავის აკუთვნებთ. სამაგიეროდ თვალწინ გიდგას ავტორი; მოქმედების დროს იგი სცენაზეა და გიცქერის, იგი სცოცხლობს შენს გონებაში. პიესაც გეჩვენება დიადად, უკვირდები იმისთანა რასმეს, რომელსაც წაკითხვის დროს ვერც შეამჩნევ. ამგვარად, ერთსა და იმავე დროს გაიგე იდეა, ნახე ცხოვრება ამა თუ იმ წრისა, ანუ ხალხისა, ხელოვნება სრულის ამ სიტყვების მნიშვნელობით და თანაც წაიკითხე პოეტის ნაწარმოები. ჯერ უკვირდები პიესაში გატარებულ აზრს, ცხოვრებას, მერე, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, პიესას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებ და ბოლოს გადიხარ არტისტებზე.

სადაც ხელოვნების მსახურთ ამგვარად ესმით თავიანთი მოვალეობა, პატივსა სცემენ ავტორს და აბუჩად არ იგდებენ მაყურებელ საზოგადოებას, იქ სასცენო ხელოვნება მუდამ შესაფერ სიმაღლეზე იქნება და არტისტებიც პატივცემულნი და საყვარელნი იქნებიან.

„ქართული თეატრი დაეცა, საზოგადოება აღარ დაიარება წარმოდგენებში, რა არის მიზეზი?“

სულ ექვსი-შვიდი წერილი დაიბეჭდა ამ საკითხის გამოსარკვევად ეს საუკეთესო ნიმუშია იმისა თუ, ერთის მხრით, რა ძლიერი პესიმიზმია ფეხმოდგმული ჩვენს საზოგადოებაში ამის შესახებ, და, მეორეს-კი, რამდენად აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას საკითხი ეროვნულ ხელოვნების შესახებ.

ამ წერილებში ერთი უსისტემობას გვიკიჟინებდა, მეორე გუნიას პიესებს აბრალებდა ხელოვნების დაქვეითებას და მესამემ კი თეატრის მთელი უბედურება რეჟისორს მოახვია თავზე, ხელოვნების დაცემა დეკორაციების ცუდად დადგმაში დაინახა და გვირჩია, ექსკურსია მოგვეხდინა ხელოვნების ისტორიაში. ყველა ჩამოთვლილ მიზეზს, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმდენად წვრილმანია, რომ არ შეუძლიან სასცენო ხელოვნება დასცეს ან გააქროს. მსახიობნი კი საზოგადოებას აბრალებდნენ: „თეატრში არავინ დაიარება, შემოსავალი არ არის, მშივრები ვართ და მუშაობაზე გული აგვიცრუვდაო“.

აი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული! აქ არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა. „შემოსავალი არ არის, მსახიობი მშიერია, მაშასადამე, მუშაობაც არ შეუძლიან“. ცხადია! მაგრამ ვინ არის დამნაშავე—საზოგადოება, რომელიც ჩამოშორდა თეატრს, თუ მსახიობნი, რომელნიც, მიუხედავად **საზოგადოების გულგრილობისა,** „განაგრძობენ შრომას?“

ეხლავე ვგრძნობ: ამისათვის ბევრს მაგინებენ, შეიძლება ზოგიერთი სასჯელიც მომელის, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ქართული სცენის დაქვეითების მიზეზნი ისევ ჩვენ, მსახიობნი ვართ. არც ერთი პიესა, ჩემს ნახსოვრობაში, ამ შვიდი წლის განმავლობაში არ დადგმულა ისე, როგორც ამას ხელოვნება მოითხოვს. არც ერთი როლი არ გვითამაშნია ისე, როგორც შეეფერება ზემოდ აღნიშნულს პრინციპს ხელოვნებისას. უმეტეს შემთხვევაში გვითამაშნია ისეთი პიესა, რომლის შინაარსიც-კი არ ვიცოდით. დიდ მონოლოგებს, რაკი გაგვიჭირდებოდა დასწავლა, შევამოკლებდით ან სულ გამოვაკლებდით; უფრო მუყაითნი მსახიობნი იზეპირებდნენ როლს და თუთიყუშივით იმეორებდნენ, ხოლო „დამსახურებული და ძველი“ არტისტები თავიანთ ნიჭის იმედით როლსაც არა სწავლობდნენ,—თვალები სუფლიორისკენ ეჭირათ, ზურგი საზოგადოებისაკენ, არ შეამჩნიოს როლის უცოდინარობაო, და ენით-კი რას ლაპარაკობდნენ—ღმერთმა უწყის. არავითარი პატივისცემა არც ხელოვნებისადმი, არც საზოგადოებისადმი, არც თავისადმი ჩვენში არ იყო. ხელოვნება მიგვაჩნდა „სხვათა შორის“ და ჩვენს ძალას პირად ინტერესებზე აშენებულ ინტრიგებს ვალევდით. ამგვარად სცენა და თეატრი გადაიქცა ქარხანად, ხოლო მისი მსახურნი—ხელოსნებად. საზოგადოებამ ეს იგრძნო... აგრძნობინა და ცხადათ დაანახვა საქმემ, ჩვენგანვე წამხდარმა, და ჩამოგვშორდა. მას მობეზრდა ქველმოქმედება. თავის საფასურში მოითხოვა ღირებული სიამოვნება და როდესაც ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ, წავიდა იქ, სადაც ეს სიამოვნება იგრძნო. განა საზოგადოება ამაში დამნაშავეა, დასაგმობია? განა ხვალ თქვენ წახვალთ იმ სასტუმროში, სადაც დღეს ცუდი საჭმელი მოგართვეს? მიდიხართ სხვაგან და ასე დადიხართ და ეძებთ იქამდის, სანამ თქვენი კუჭისა და გემოვნების შესაფერ საკვებს არ იშოვნით. სასცენო ხელოვნება კი საკვებია არა კუჭისა და სხეულისა, არამედ უფრო ფაქიზ და ნაზ გონებისა. ჩვენ კი ეს ფაქიზი და ნაზი საკვები გავატლანქეთ, გავაჭუჭყიანეთ და ჰუმს, მოუხარშავათ შეზავებულს რაღაცას, თვით არ ვიცით რის მოთმინებით აღჭურვილ საზოგადოებას პირში ვაჩრით და ვეუბნებით—გინდა თუ არა სჭამეო. ყველაზე საზიზღრობა ის არის, ჩემის აზრით, რომ ეხლაც იმასვე ვაწვდით ამ საზოგადოებას, რასაც ამ 20-30 წლის წინად. დამეთანხმეთ, ეს დიდი დანაშაული და მომაკვდინებელი ცოდოა. საზოგადოება უგრძნობელი და უვიცი როდია. მან იგრძნო ჩვენი სულიერი გაკოტრება, ფიზიკური და ფსიხიკური უღონობა და სრულიად სამართლიანად ჩამოგვშორდა. და ჩვენ არც იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება არა გვაქვს უსაყვედუროთ. პირიქით, სასაყვედურო და თავში საცემი ჩვენვე ვართ. სანამ მსახიობთა შორის არსებობს ასეთი ინდიფერენტიზმი, სანამ თითეული მათგანი ხელოვნებას პირად ინტერესებზე მაღლა არ დააყენებს, ქართული თეატრი არ აღორძინდება. თუ ასე გაგრძელდა, იგი სრულიად გაჰქრება და წმინდა ხელოვნების ადგილს ჯამბაზობა, ჰიდაობა და ფიზიკური ვარჯიშობა დაიჭერს. მგონი ამ დარგმაც ცოტათი უკვე მოიკიდა ფეხი.

მაშ რა ვქნათ? ნუ თუ ხსნა აღარ არის? იკითხავს მკითხველი. არის! საქმეს ეშველება. ერთის შეხედვით

*) იხ. „დროება“ N 55.

4 ნახევ. ფუთი უვარგისი თევზი აღმოაჩინა, ვაჭრებს ოქმები შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა.

◆ **დარჩენილი გადასახადები.** ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაუგზავნა სიები იმ პირთა, რომლებზედაც დარჩენილია სახელმწიფო, საერობო და დასაფასებელი გადასახადები. პოლიცმეისტერი ავალებს პოლიციელებს, ყოველივე ღონისძიება იხმარონ და ეს ფული მოჰკრიბონ.

◆ **საბოქაულოების ნაწილი.** ადმინისტრაციის განკარგულებით ტფ. საბოქაულოებს შემდეგი სახელები ეწოდა: 1 ნაწილს—ვერის ნაწილი, მეორეს — თეატრისა, მესამეს—დვორცოვოი, მეოთხეს—ბაზარნი, მეხუთეს—ვორონცოვსკი, მეექვსეს—ნავთლუღლისა, მეშვიდეს—ავლაბრისა, მერვეს—რიყისა, მეცხრეს—კუკიისა, მეათეს—მიხაილოვსკისა, მეთერთმეტეს—ზავოკზალნი და მეთორმეტეს—დიდუბის ნაწილი.

◆ **მითვისებულ ადგილის დათვალიერება.** 11 მარტს ტფ. ქალაქის გამგეობამ ტეხნიკოსების თანადასწრებით დაათვალიერა მელიქ-ფარსადანოვის მიერ მითვისებული ადგილი ციციანოვის აღმართთან. თუმცა ყველა ხმოსანი იყო მიწვეულნი, მაგრამ ორი კაცის მეტი, არავინ წასულა. შედეგი დათვალიერებისა 15 მარტს წარედგინება საბჭოს.

◆ კვირას, 14 მარტს, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი დიდია ქართულად წაიკითხავს: „უფროსი შვილი“; ქ-ნი ბერიშვილი—„მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 10 საათზე. ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ახალშენიშვილისა—„საუბარი მელაზე, მგელზე და ტურაზე“, ქ-ნი ავალიანი—„თომას თავგადასავალი“, დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ამავე დღეს ქ-ნი ჟორდანია წაიკითხავს: „მამაცი მკერვალი“, ქ-ნი ასათიანისა—„მაიმუნი და დარაჯი“, დასაწყისი 11 საათზე.

◆ ტფ. პოლიციას ამ დღეებში ცნობა მიუღია, რომ გოლოვინის პროსპექტზე „ევროპის“ სასტუმროს პატრონის ვლადისლავ რუბომის სახლში იარაღია დამალული. 10 მარტს საღამოთი გაუჩხრეკიათ სახლი და უპოვნიათ ერთი თოფი 45 პატრონით სახელმწიფო ფორმისა, ერთი ორლულიანი სანადირო თოფი და ერთი ბრაუნინგი. რუბომმა იარაღის შესახებ განაცხადა, თოფი მამაბარა კავკავის პოლკის სოტნიკმა ხუთაგუროვმა, ხოლო მეორე თოფი და რევოლვერი დასტოვა სასტუმროში ჩამომხტარმა ინჟინერმა კრესტოვმა, ფოთში მცხოვრებმა. რუბომის ბინაზე ორი ქალი აღმოჩნდა, დედა და შვილი, ანნა მიდმანი და ელენე გასილიევსკისა, რომელნიც დააპატიმრეს პასპორტების უქონლობისა გამო. რუბომმი პასუხისგებაში მისცეს იარაღის შენახვის ნებართვის უქონლობისათვის.

◆ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა ხარაზიანმა ოქმი შეუდგინა ყასბებს დარჩო დივანოვს და ალ. ალიხანოვს. პირველმა პავლიაშვილს მიჰყიდა კამეჩის ხორცი, ფუთი 5 მან. და 20 კ; მეორემ ფანჯაკიძეს ასეთივე ხორცი ფუთი 4 მან. 80 კაპ. მიჰყიდა. ყასბები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ 11 მარტს რუსის ქუჩაზე დააპატიმრეს გრიგორ ბასინოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნებადაურთველად დაბრუნებულა.

◆ 10 მარტს გაჩხრეკის დროს, პოლიციის მე-8-სა, მე-4-სა და მე-9 ნაწილებში დააპატიმრეს 17 უპასპორტო კაცი.

◆ 11 მარტს საღამოთი მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს საიუნკრო სასწავლებლის მსახური პეტრე ოლუმბეკაშვილი, რომელიც მუცელში სასიკვდილოდ დაჭრილი აღმოჩნდა. ოლუმბეკაშვილმა განაცხადა, მე თვითონ დავიჭერი თავი იმ უსიამოვნობის გამო, რომელიც ჩემ საყვარელ ქალთან მომივიდაო.

# კიევის ცხოვრება

ტარნოვსკაია.—ინტენდანტების დაპატიმრება.—ადვენტისტების სექტა.—ქალთა უნივერსიტეტი კიევში.—მემარჯვენე პროფესორების პასუხი.—ცირკულიარის შედეგი.—ქართულ საღამოს აკრძალვა.—მღვდლებისა და დიაკვნების კრიზისი.—ავტომობილები.—მათხოვრების ოინები.

კიევი კვლავ ტარნოვსკაიას საქმით არის გატაცებული. ადგილობრივი პრესსა და საზოგადოება მხოლოდ იმაზედა ლაპარაკობს. არა თუ კიევი, მთელს რუსეთში აღარ დარჩა არც ერთი პროფესორი-პსიხიატრი, ვისთანაც საინტერვიოდ არ მისულიყვნენ და ტარნოვსკაიას შესახებ არ ეკითხნათ: ნორმალური სულის მქონეა თუ არაო. ასე შეეკითხნენ პროფესორებს ბეხტერევს, სიკორსკის და სხვებს. ჯერჯერობით ყველა იმ აზრისაა, რომ ტარნოვსკაიაში პსიხიურ ანორმალობას ვერა ვხედავთო.

ვენეციაში ტარნოვსკაიას საქმეს არჩევენ, ჩვენში კი ინტენდანტებისას. 19 თებერვალს სენატორის გარინის მოწერილობით კიევში დაატუსაღეს კიდევ 19 ინტენდანტი. მაღაზიები, სამწერლო მაგიდის უჯრები საინტენდანტო სამმართველოში და კანტორები, რომელიც იმათ ებარათ, დროებით დაბეჭდეს, სანამ სამხედრო გამომძიებელი გაარჩევს.

ამას წინად კიევში მოხდა კონფერენცია ადვენტისტებისა. ეს სექტა დაარსა 1833 წელს მიულლერმა, რომელიც ნიუ-იორკში ქადაგებდა ქვეყნიერობის ჩქარ დასასრულს. ესენი მოელიან მოკლე ხანში იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას ქვეყნად, სწამთ და უქმობენ შაბათს, აკრძალული აქვთ თამბაქოს წევა და მაგარ სასმელების სმა. იცავენ ზნეობრივ სიფაქიზეს. მართლ-მადიდებელი მისსიონერები ძალიან დაფაცურდნენ. სინოდიდან თვით სკვორცოვიც კი მოუვიდათ. როგორც ეტყობათ, მზად არიან მუშტით დაიცვან თავიანთი სარწმუნოება.

როგორც ადგილობრივ გაზეთების პეტერბურგელი კორესპონდენტები იუწყებიან, მინისტრთა საბჭოს დაუდგენია, კიევში უთუოდ დაარსოს ქალთა უნივერსიტეტი წმ. ოლგას სახელობაზე, ჯერ მხოლოდ მათემატიკურისა და ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტებით. იურიდიული ფაკულტეტი საჭიროდ არ უცვნიათ იმ დრომდე, სანამ რუსეთში არსებობს კანონები, რომლებიც უკრძალავენ ქალებს ვექილობას. უნივერსიტეტ დამთავრებულ ქალებს უფლება ექმნებათ მასწავლებლობისა საშუალო სასწავლებლებში. სწავლა განათლების მინისტრმა შვარცმავე გამოსცა ბრძანება. ამ ბრძანების ძალით უმაღლესს კურსებზე სწავლა დამთავრებულნი, რომელნიც მოისურვებენ გამოსცდელ კომისსიებში ეგზამენის დაჭერას, ვალდებულნი არიან ვაჟთა გიმნაზიის რვა კლასის მოწმობა წარადგინონ.

კიევის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესორებმა პასუხი მისცეს გერმანიის პროფესსორების პროტესტს ფინლიანდიის საქმეების შესახებ. პასუხში ჰკიცხავენ გერმანელ პროფესორებს, რომ მიუდგომლობა ვერ გამოიჩინეთ და საკითხი სწორედ ვერ გაარჩიეთო. ამ გვარივე პასუხი უფრო ადრე ხომ ოდესელმა პროფესორებმაც მისცეს.

პრემიერ მინისტრის სტოლიპინის ცნობილმა ცირკულიარმა გუბერნატორებისადმი არა-რუს კრების კავშირთა და საზოგადოებათა შესახებ ცუდს მდგომარეობაში ჩააყენა უკრაინელებიც. მარტო ერთი კვირის განმავლობაში ნება არ დართეს სამი სახალხო ლექციის წაკითხვისა უკრაინულ ენაზე, პოლიციამ აკრძალა აგრეთვე უკრაინულ კლუბში დანიშნული ლიტერატურული ბაასი შევჩენკოს შესახებ, და საზოგადოებებისა, ხოლო კავშირების საგუბერნიო საკრებულომ ნება არ დართო უკრაინელებს, დაეარსებინათ კოოპერატიული საზოგადოება „კრამი“ (საქონელი). ამ საზოგადოების მიზანი იყო კოოპერატიულ საფუძველზე უკრაინელ შინა ნაწარმოებთა მაღაზიის გახსნა.

ამ კვირიავე ნება არ დართეს ქართველ სტუდენტებს, გაემართათ ქართული საღამო.

კიევის ეპარქიის უმაღლესი მთავრობა ძალიან შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ მღვდლებისა, მთავრებისა და მედავითნეების ადგილი ძალიან ბევრია თავისუფალი კიევის ეპარქიაში. სემინარია გათავებულნი აღარ მიდიან მღვდლებად. ამიტომ შეიმუშავეს ახალი პროგრამმა იმ პირთათვის, ვისაც უნდა მღვდლად წასვლა. ეს პროგრამმა წარმოადგენს სასულიერო სასწავლებლების, ზოგიერთა სემინარიის საგნების დამატებით, ძალიან შემცირებულ კურსს.

ინგლისელ კაპიტალისტთა კომპანიამ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს ავტომობილ-ომნიბუსების მიმოსვლის გამართვის შესახებ კიევში. მიმოსვლის ფასი ტრამვაის ფასებთან იქმნება შეთანხმებული. ტრამვაის საზოგადოება ძალიან დაღონებულია, მისი აქციები ეხლავე ეცემა. უნდა ვთქვათ, რომ ადგილობრივ ტრამვაის მადლიერი არ არიან. ისე დღე არ გავა, რომ სამი-ოთხი უბედური შემთხვევაც არ მოხდეს. 28 თებერვალს, მაგალითად, სამი უბედური შემთხვევა იყო. სხვათა შორის ამ დღეს ტრამვაის ვაგონმა ქვეშ მოიგდო ადგილობრივ სამხედრო სასწავლებლის იუნკერი ი. ჟლენტი, რომელსაც მარცხენა ფეხი მოსტეხა. დაშავებული სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს.

ამ დღეებში ადგილობრივმა პოლიციამ მიიღო ცნობა ორგანიზაციულ მათხოვრობის შესახებ, რის შემდეგაც დაატუსაღა ორი და: ანნა და მარია, 14—16 წლისა. იმათ უპოვნეს რამდენიმე წერილი სხვა და სხვა პირთან და სხვა და სხვანაირად შედგენილი. ერთ წერილში შველას თხოულობდა „ავადმყოფი ექიმი“, მეოროეში „წვრილ-შვილიანი და ავადმყოფი ინჟენერი“ და სხვ. დებმა შემდეგი სთქვეს: ყოფილა ვინმე სარატოველი ივანე გოროდიანკინი, რომელსაც ისინი მამინაცვალს ეძახიან. იმას წამოუყვანია ეს ქალები და დადის თურმე მთელს რუსეთის ქალაქებში. როცა სადმე მოვლენ, გოროლანკინი ჰკრებავს თურმე მდიდარ მცხოვრებლების ადრესებს და ჰგზავნის იმათთან ამ დებს წერილებით. ყოველ დღე თურმე ჰკრებდნენ ამ გვარად 5—10 მანეთს ზოგჯერ მეტსაც. თუ ხუთს მანეთზე ნაკლებს მიიტანდნენ სახლში, მაშინ ცემა მოელოდათ. ორთაშუა რიცხვით ისინი თვეში 300 მანეთამდე იღებდნენ. გოროდიანკინს ამ დებით ამგვარად შემოუვლია: ნიჟნინოვგოროდი, მოსკოვი, ოდესსა, სევასტოპოლი, სიმფეროპოლი, ყოფილა ტფილისშიც და ამ ორი თვის წინად ჩამოსულა კიევში. გოროდიანკინი დაატუსაღეს, უპოვნეს მრავალი წერილი სხვა და სხვა პირთან. ის ამ დებისა მამინაცვალი კი არა, სრულებით უცხო პირი ყოფილა. გოროდიანკინი კარგა შემძლებული კაცია: აქვს სარატოვში სახლები და ბლომად კაპიტალი ბანკში. ამ პროფესსიას თურმე ძალიან შემოსავალი ჰქონებია იმისთვის.

26 და 27 თებერვალს აქ დაიკარგა სამი ბავშვი—ორი ოთხ-ოთხი წლის ვაჟი და ერთი სამი წლის ქალი. როგორც ამბობენ, ისინიც მათხოვრებს მოუპარავთ საპროფესიოდ.

**გ. ნამორაძე.**

# მოწერილი ამბები

**დ. სურამი.** დიდი ხანია, ბანქოს სათამაშო კლუბის დაარსება სურამის საზოგადოების ინტელიგენტთა ჯგუფის სანეტარო საგნად იყო მიჩნეული, მაგრამ დღემდის ნატვრა ნატვრად რჩებოდა და კლუბიკი არსად იყო. ცდამ ამაოდ არ ჩაუარათ ჩვენ ინტელიგენტებს, მალე მათ შორის მინე მეთაურნი გამოჩნდნენ, რომელთა მეცადინეობითაც, მსწრაფად შესდგა კლუბისტთა ორგანიზაცია, შეკრიბეს სამოცდაათ თუმნამდის და [illegible] არიან [illegible] ბით, რადგან იგი მოთამაშეთა რიცხვს გაამრავლებს, ბანქოს თამაში [illegible] გახალისდება და იმ პროვინციის მოწყენილობას, ე. ი. „სკუკას“, რომელსაც დღემდის ასე გულ მოკლულნი უჩიოდნენ, თავიდან აიცილებენ და პირველი ბედნიერებაც ხომ ეს არის მათთვის.

მე არა მაქვს აზრად რომ ვისმეს მორალური იდეიები ვუკარნახო, მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ ეს დაწესებულება სრულებით მეტია და საზოგადოებას თუ არ ავნებს სარგებლობას არავის არ მოუტანს, რადგან ერთის მხრივ, უკვე დახვეულ მოთამაშეთა ჯგუფს თავ დავიწყებამდის მიიყვანს, მეორეს-კი მათ ფერხულში ჩაბამს. ამას გარდა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სურამის საზოგადოება ნივთიერად დაქვეითებულია და როგორც სხვა პროვინციის, ისე სურამის ინტელიგენცია მოვალეა ჰქმნიდეს იმისთანა კულტურულ დაწესებულებებს, რაც ხელს შეუწყობს ხალხის სწავლა-განათლებას, მაშინ თვალნათლად დავინახავთ, რომ ეს დაწესებულება საზოგადოების ისედაც სუსტ ნივთიერ შეძლებას ზედ შეიღებს და სასარგებლო დაწესებულებებისთვის აღარ მოაცლის. განა უკეთესი არ იქნებოდა, კლუბისტებს როგორც დღემდის შემდეგაც თავიანთ ოჯახებში განეგრძოთ თამაში და იმ ფულით, რასაც კლუბს შოანდომებენ, წერა. კ. საზოგადოების განყოფილება გაეხსნათ.

არა ნაკლებ განსაცვიფრებელია საზოგადოების მოწინავე პირთა საქციელი იმ მხრივ, რომ როდესაც მათ მიერვე დაარსებული პროგიმნაზია (დღესაც ისინი ითვლებიან გულ შემატკივრად) უსახსრობის გამო განსაცდელშია და დღითი დღე გაქრობას ლამობს, სწორედ ამ დროს ბანქოს სათამაშო კლუბს აარსებენ და მზად არიან თავიანთ ნივთიერი შეძლება მას შოახმარონ. სკოლას კი აღარ ვიცი, ვის ამარა სტოვებენ. უკეთესი არ იქნებოდა, რომ კლუბის მოსახმარი ფული სკოლის თანხისთვის მიემატნათ და მით ეს უკიდურესი განსაცდელი თავიდან აეცილებინათ??

მაგრამ, სიმართლე უნდა ვაღიაროთ,

---

ძალიან გაუკვირდებათ და კიდეც გაუძნელდებათ ჩვენს საზოგადოებას და არტისტებსაც ჩემი პროექტი, მაგრამ დავარწმუნებ პირველთ რომ, არც ისე ძნელია, როგორც სჩანს და მეორეთ კი, თუ თავიანთ მიერ შექმნილი, ღვიძლი შვილი, ეროვნული სცენა უყვართ, ასე უნდა მოიქცნენ.

ჩვენმა ძველმა მსახიობებმა, დიახ, დიდი სამსახური გაუწიეს სამშობლო სცენას. მათ ჩაუყარეს საფუძველი, შეაყვარეს საზოგადოებას ეროვნული ხელოვნება; მაშინ როდესაც სხვაგან დევნილი იყო ქართული ენა, მათის მეოხებით სცენიდან გაისმოდა იგი თავისუფლად. თითეული მათგანი 30-40 წლის განმავლობაში დარაჯათ ედგა ამ წმინდა საქმეს. შიმშილი, სიცივე, ლანძღვა-გინება და დაცინვა,— მათი ხვედრი იყო და არის კიდეც. მიუხედავად ამისა თავიანთი მძიმე და პასუხსაგები უღელი ჩვენამდის მოიტანეს. რისამე დაარსება შედარებით ადვილი საქმეა. ძნელია მისი განგრძობა: ცდა, მხნეობა, სურვილი, რომ ახლად შობილი არ მოვკდეს. ამ მხრივ ჩვენს არტისტებს მეტი შრომა და ჯაფა მიუძღვით, ვიდრე რომელიმე სხვას და ამიტომ ვფიქრობ, ქართველი საზოგადოება და თეატრის ისტორიაც ღირსეულად დააფასებს მათ უანგარო შრომას.

დროს თავისი მოაქვს. ყველა ზემოაღნიშნულ მიზეზს — ერთის მხრივ შრომა და მეორესი—გაჭირვება მატერიალური თავის დაღს ასვამს ადამიანს. სცენა ისეთი ასპარეზია, სადაც ადამიანის ენერგია მეტი იხარჯება, ფიზიკური ძალაც უფრო ადრე სუსტდება, ვიდრე სხვა დარგში. ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ ზოგიერთი ჩვენი არტისტი მოიქანცა, დაიღალა და სხვებთან ერთად მუშაობის უღელს ვერა სწევს. ამ უძლურებას თავისი ნაკლი მოსდევს. დაუძლურებული ადამიანი მუდამ რაღაც კვანძს ეძებს თავის გასამართლებელს. ხან იურიდიულ სიმართლეს ებღაუჭება, ხან თავმოყვარეობას შემოგტყორცნის და ხან კიდევ ტრაბახობას მოჰყვება.

მოვიყვან რამდენსამე მაგალითს შარშანდელ სეზონისას. ერთი დამსახურებული არტისტი რეჟისორმა დააჯარიმა რეპეტიციაზე მოუსვლელობისთვის. რა თქმა უნდა, იწყინა—როგორ შეჰკადრეს... „მე გასტროლიორი ვარ და მოვალე ვარ მოვიდე მხოლოდ ორ უკანასკნელ რეპეტიციაზეო“. მეორემ პატარა როლი არ ითამაშა, მესამეს კი თავი მოჰქონდა იმითი, რომ „მთელი სეზონი და რეჟისორი ჩემი მძლავრი ზურგით გავათრიეო“... აი, ბატონებო, საუკეთესო ნიმუში დამამტკიცებელი ჩემი სიტყვებისა, რომ ქართული თეატრი გადაიქცა ქარხანად, ხოლო მისი მსახურნი ხელოსნად!

სასცენო ხელოვნებაში იურიდიული სიმართლე და უფლება არ უნდა არსებობდეს. უფლება და სიმართლე თვით ხელოვნებაა. ყოველი მსახიობი უნდა ემორჩილებოდეს ხელოვნების მოთხოვნილებას, მის კანონს იმდენად, რამდენადაც ეს თვით ხელოვნებისათვისაა საჭირო. მსახიობი არ ეკუთვნის თავის თავს, იგი ხელოვნებისაა და თუ ეს უკანასკნელი მოითხოვს შრომას, აქ არავითარ იურიდიულ სიმართლეს ადგილი არა აქვს. მსახიობს არ ამართლებს ის, რომ მას ესა თუ ის როლი უთამაშნია და მიზან-სცენებიც იცის. იგი ერთნაირის პატივისცემით უნდა უყურებდეს როგორც თავის თავს, ისე სხვა მოთამაშეებსაც, პიესას, ხელოვნებას სცენაზე და საზოგადოებას. ყოველი მსახიობი უნდა ცდილობდეს არა მარტო თავის გამოჩენას, არამედ იმას, რომ საერთო ანსამბლი არ გაფუჭდეს, არ დაირღვეს ჰარმონია და მის კარგ თამაშობაში მეორემ დისონანსი არ შეიტანოს. ამიტომ თუ მსახიობს როლი უთამაშნია ასჯერ, მაგრამ სხვებისათვის საჭიროა ორასი რეპეტიცია, ხმა ამოუღებლივ უნდა დამორჩილდეს და თავის ას-მეორე ორასიც მიუმატოს. ვამბობ, „დამორჩილდეს მეთქი“, არა, სიამოვნებით იშრომოს, რადგან ეს „მეტი“ შრომა მასვე მოუტანს სარგებლობას. ჩვენს მსახიობთ ამაზე არასოდეს არ უფიქრნიათ, თორემ რით აიხსნება ასეთი მოვლენა: „რევიზორს“ ვამზადებდით. „გოროდნიჩი“ თვალით არ გვინახავს. მოვიდა წარმოდგენის დაწყების წინ და ანტრაქტებში გვასწავლიდა: „ქაჯან, შენ აქ დადექ და შენ აქაო“... ამგვარ მუშაობის შედეგი თვალწინ გვიდგას. განა ამის შემდეგ საკვირველია ჩვენი ხელოვნების დაცემა? ან საზოგადოების ჩამოშორება?

მეორე მაგალითზე ვწუხვარ და მრცხვენიან რომ მე უნდა მოვაგონო დამსახურებულ მსახიობს, რომ „არ არსებობს პატარა როლი—არ არსებობს პატარა არტისტი“.

მესამეს-კი „Мания грандиоза“-ს ეძახიან. ჭეშმარიტი არტისტი არ მიათრევს არც სეზონს, არც რეჟისორს. ხელოვნება თავისთავად მიდის წინ და მსახიობნიც და რეჟისორიც მას მისდევენ. როცა სეზონი, ან რეჟისორი ერთი რომელიმე მსახიობის სათრეველა გახდება, იქ ხელოვნებაც არ ყოფილა.

ყველა ეს მაგალითი (სხვა მრავალიც შემეძლო ჩამომეთვალა) იმიტომ მოვიყვანე, რომ ცხადმეყო და დამენახვებინა საზოგადოებისათვის, თუ რა თვალით უყურებენ ჩვენი მსახიობნი სასცენო ხელოვნებას. დამემტკიცებინა, რომ სცენა მათ მიაჩნიათ მარტო მათის პიროვნების გამოსაჩენად და არა საერთოდ ხელოვნების ასპარეზად. ეს შეხედულებაც ტრადიციულია, დიდიხნიდან მომდინარე და არც გასამტყუნარნი არიან. ამას დაუმატეთ მათი უძლურება, მოქანცულობა, შიში შრომისა და ჯაფისა.

მახსოვს, მოსკოვში როცა მოვდიოდი, ერთმა მათგანმა მითხრა: „როცა იქიდან ჩამოხვალ შენც სამხატვრო თეატრის წესები არ შემოიღო—თითო პიესაზე ასი რეპეტიცია არ გაგვატარო“...

შარშან სეზონში დავრწმუნდი, რომ რა მხრიდანაც გინდა საქმეს მოუარო, ამ წესწყობილებაში შეუძლებელია მისი გამობრუნება, იმიტომ რომ აღარ შეუძლიანთ შრომა. მოიქანცნენ, მობეზრდათ... მუშაობაზე გული აღარა აქვთ, როლებს ვეღარა სწავლობენ, რეპეტიციებზე თავის დროზე ვეღარ დადიან... ერთს გვიან გაეღვიძა, მეორე ქარებით შეპყრობილი, საბრალო ლოგიდან ვეღარა დგება, მესამეს კერძო საქმე აქვს... შესრულდება ორი საათი თუ არა, ერთი გაიძახის —„მე დაჩვეული ვარ ამ დროს სადილობასაო“ და სცენიდან გარბის და სხვ.., ჯარიმებიც სცადეს, მაგრამ არა გამოვიდარა, სიბერისა და შრომისაგან დაუძლურებულ სხეულს ძალასა და ენერგიას ვერაფრით ვერ შემატებ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსა ვკითხე—ჯარიმები თუ არის თქვენში-მეთქი. გაიცინა და მიპასუხა: „განა არტისტი გოროდოვოია ან ხელოსანი, რომ დავაჯარიმოთ? პირუტყვებსა სცემენ, ხოლო ცუდ მოხელეს ანუ ხელოსანს—აჯარიმებენ. თუ მსახიობმა ჯარიმამდის მიიყვანა თავისი თავი—სჩანს იგი ხელოსანია და სახელოსნოში გაგზავნეთ... სცენა არ არის მისი საქმე“...

აქედან ცხადია, მსახიობს უნდა ესმოდეს თავისი მოვალეობა და იმის შესასრულებლად ძალაც უნდა შესწევდეს.

ამიტომ ჩვენი დამსახურებული მსახიობნი სრულიად უნდა ჩამოშორდნენ ქართულ სცენას და დრამ. საზოგ. გამგეობამ უნდა ისინი უზრუნველჰყოს სიცოცხლეში. ვ. გუნიამ დიდი ხანია ეს აზრი გამოსთქვა და მათი გასტროლების წინადადებაც შეიტანა, მაგრამ მე პირადად ამ გასტროლების წინააღმდეგიცა ვარ. საგასტროლო სისტემა არღვევს ერთხელვე შექმნილ საერთო ანსამბლს. ყოველივე კავშირი უნდა გასწყვიტოს სცენამ მათთან. ახალგაზდა მსახიობნი უნდა გადაეჩვივნენ მათ მიბაძვას. ამ უკანასკნელ წლების ჩვენი სასცენო მოღვაწეობა, როგორც სამარცხვინო ხანა ქართულ თეატრისა, ყველას ხსოვნაში უნდა წაიშალოს, ძირიანად დაინგრეს ქართული სასცენო ხელოვნების საძირკველი და აშენდეს სრულიად ახალი.

დრამ. საზოგ. გამგეობამ პრესსის საშუალებით უნდა მოიწვიოს ყველა, ვისაც სურს ქართულ სცენაზე მუშაობა, მცოდნე პირთა თანადასწრებით მოახდინოს მათი გამოცდა, აარჩიოს ნიჭიერნი, იშოვნოს საჭირო ფული, დაეხმაროს აქ ახლად დაარსებულ „ქართულ დრამის“ საზოგადოებას, რომლის მზრუნველობა იკისრა ა. ი. სუმბათაშვილმა, ხოლო ხელმძღვანელობა ვ. მჭედლიშვილმა (ამ საზოგადოების მიზანი უკვე აღვნიშნეთ. ამ დღეებში დაიწყებს იურიდიულად მოქმედებას), გამოგზავნოს აქ და ერთი წლის განმავლობაში ქართულ სცენას ეყოლება ახალი დასი, ახალის პრინციპებითა და მიმართულებით, სკოლა განვლილი და გონება განვითარებული.

დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგები ეხლა ბევრს მაგინებენ, მაგრამ როცა დაინახავენ თავიანთ დიდი ხნის შრომის ახალ ნაყოფს, სიამოვნებით გაიღიმებენ და აღტაცებითაც მიეგებებიან.

**ვალ. შალიკაშვილი.**

რომ სურამის ინტელიგენცია კულტურულ საქმისთვის მაგრე რიგად არ იწუხებს თავს. საკმაოა გავიხსენოთ სახალხო სამკითხველოს ბედ-იღბალი, რომელიც 1905 წ. არეულობის დროს საზოგადოებამ თავის ნებით დროებით დახურა. აგერ ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, წიგნები თაგვების საზრდოდ შეიქნა, ნივთები მიითვანტ-მოითვანტა და არავის გულშემატკივრობა არ გამოუჩენია და არ შეჰკითხებია, ვისაც ჯერ არს, რომელსაც არა სურს მისი გახსნა, თუ რა მიზეზია ამისთანა უდანაშაულო დაწესებულების აკრძალვა?!

არა ნაკლებ საყურადღებოა ინტელიგენციის დამოკიდებულება ახლად დაარსებულ დრამატიულ საზოგადოებასთან, რომელსაც აზრად აქვს აგკოს თეატრი და საზოგადოების წევრთა შორის შეჰკრას სოლიდარობა და კავშირი, რითაც შესაძლო იქნება საერთო ჭირის და ლხინის გაზიარება. ინტელიგენტებს იმდენად დაჰკარგვიათ ცნობის-მოყვარეობა, რომ ჯერ არც კი დაუთვალიერებიათ საზოგადოების სადგომი, რომელიც უკვე მოწყობილია, და არ გაუგიათ თუ რის მომასწავებელია, რა მხრით არის სასარგებლო ამ გვარი დაწესებულება. თუმცა დრამატიულ საზოგადოებას თანამგრძნობიც ბევრი აღმოუჩნდა, ჯერ-ჯერობით ორმოცდა ათ წევრამდის ჰყავს და საქმეც რიგიანად მიდის, მაგრამ საკვირველნი არიან ის ინტელიგენტები, რომელთაც ამგვარი მიზანი საზოგადოებისა უსარგებლოდ ჩასთვალეს და მისდამი სრული გულგრილობა გამოიჩინეს. **გ. მოუსვენარიძე.**

---

**სოფ. ბაღდათი.** (ქუთაისის მაზრა) სოფ. ბაღდათში ყველაფერი არსებობს—მრავალი დუქანი, სამომრიგებლო სასამართლო, საგამომძიებლო განყოფილება, პოლიციის სამმართველო, ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა, ქსენონი, აფთიაქი, საათფთიაქო საქონლის საწყობი, უფასო სამკითხველოც და არ არსებობს მხოლოდ ფოსტა ტელეგრაფი, ეს უსაჭიროესი დაწესებულება კულტურული ხალხისა.

ბევრს შრომობენ ჩვენ სოფელში სამომრიგებლო სასამართლოს მსაჯული მიხაილ დიდია და მეუღლე მისი ქ-ნი ეკატერინე. ამ ორის შემწეობით და შრომით დაარსდა ბაღდათში ქალთა ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, სადაც ქ-ნი დიდია სასწავლებლის უფროსად არის და დაუღალავად შრომობს სკოლის დაწინაურებისათვის. ბავშვებს წერა კითხვის გარდა ასწავლიან კარგ ქსოვას, ქარგვას და სხვა ხელსაქმეს. დიდიების თაოსნობით ბაღდათში ორჯერ გამართა საღამო სკოლის სასარგებლოდ და ორივეჯერ დიდძალი ხალხი დაესწრო. დიდიებმა საზოგადოებას დაანახვეს რომ ყველაფერი შეიძლება შრომითა და მეცადინეობით. ამ დღეებში მათ მოსწავლეთა მშობლების თანდასწრებით კრება ჰქონდათ სკოლის საკუთარ შენობის აგების შესახებ, რაზედაც დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე სურვილი გამოსთქვა.

ბაღდათის ქსენონისათვის საკუთარ შენობის ასაგებადაც კაცები არჩეულნი არიან და იმედია ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება მალე საკუთარ შენობაში მოთავსდება. ფოსტის შესახებ-კი ყველა სდუმს რაც არაა სასურველი.

7 მარტს საღამოს ბაღდათში არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. ადგილობრივი მცხოვრები განო ფურცელაძე თავის ამხანაგებით, ასე საღამოს ცხრა საათზე, მისულა მიხეილ ხელაძის სამიკიტნო დუქანში. ამ დროს დუქანი დაკეტილი ყოფილა. მოუთხოვნიათ დუქნის დაუყოვნებლივ გაღება და ღვინო. ჯერ მასპინძელი უარზე მდგარა, მაგრამ როცა ვერას გამხდარა, დუქნის კარი გაუღია. ამ დროს გავარდნილა რევოლვერი, რომელიც განო ფურცელაძეს ხელში სჭერია და ტყვია ხელაძეს ყელში მოჰხვედრია. ფურცელაძე ამბობს, რევოლვერი უცაბედად გამივარდაო. დაჭრილი იმ ღამეს ლიფინით ქუთაისის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ მეორე დღესვე გარდაიცვალა. უსახსროდ დარჩა ცოლი და ექვსი პატარა ბავშვი. ფურცელაძე იგი თონვე გამოეცხადა მთავრობას და საქმე გამომძიებელს გადაეცა. საზოგადოდ ბაღდადლებს ჭრაი ორის გარდა, ძლიერ უყვართ ბაღდათის სამიკიტნო დუქნებში ქეიფი.

სიმინდი ეხლავე 60 კაპ. ფასობს ერთი ბათმანი. ადგილობრივი ჩარჩები დიდ მზადებაში არიან, რომ ახლომახლო სოფლებში მოსული სიმინდი ეხლავე შეისყიდონ და მერე უფრო ძვირად მიჰყიდონ გაჭირვებულებს.

ამ ბოლო დროს ბაღდათს მეტი სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყო.

**დათიკო ხვირელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**საინტერესო კონცერტი.** შაბათს, 3 აპრილისთვის, ქართულ თეატრში დანიშნულია საინტერესო კონცერტი ი. კარგარეთლისა. იქნება წარმოდგენაც. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე და ვასილ აბაშიძე; საკონცერტო განყოფილებაში: კოლოტოვისა, ევლახიშვილი და სარაჯიშვილი. სხვათა შორის ამ კონცერტზე პირველად შეასრულებენ მგოსნის არიას ქალთა ხოროთი ქართულ ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ტექსტი ამ ნაწარმოებისა დაუწერია პროფესორს ა. ს. ხახანაშვილს, ხოლო მუსიკა დ. ი. არაყიშვილს. მგოსნის სიმღერას ამ ოპერიდან შეასრულებს ი. სარაჯიშვილი. საორკესტროდ ეს სურათი საგანგებოდ ამ საღამოსთვის დაიწერა ახლახან თბილისში. ეს სამუსიკო ნაწარმოები თავის ხარჯით გამოსცა რუსეთის ეტნოგრაფიულმა საზოგადოებამ მოსკოვში.

**სახალხო წარმოდგენა.** დღეისთვის ზუბალაშვილის სახალხო სახლში, კ. შათირიშვილის რეჟისორობით დანიშნულია ქართული სახალხო წარმოდგენა. „წრის“ სცენის-მოყვარეთა მიერ, ვასილ აბაშიძის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება „ხალხი“ დრამა პლატონისა.

**ვერის აუდიტორია.** დღეს ვერის აუდიტორიაში სცენის-მოყვარეთა მიერ სახალხოთ წარმოდგენილი იქნება 2 პიესა: „ორ ცეცხლ შუა“ და „ცოლქმრობის წინააღმდეგ“.

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა.** შესდგა და დღეიდან იწყებს ქართულ თეატრში მოქმედებას ქართველ მსახიობთა ამხანაგობა. ამხანაგობაში ირიცხებიან: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძისა, ნ. კოლხიდელი, შ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ალ. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, ვ. იმნელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი, კ. ჰელიძე. სგასტროლოდ მოწვეულნი იქმნებიან: ნატ. მერაბ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, კ. ყიფიანი. რეჟისორად არიან ვალ. გუნია, სუფლიორად ბ. ბეგლარიძე.

რეპერტუარი: „მეგობრობა“, ნ. შიუკაშვილისა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ანდრეევისა, „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ვ. ყიფიანისა, „ოალატი“ სუმბათაშვილისა და სხვ.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

# უცხოეთი

**ინგლისის ლორდთა პალატის რეფორმა**

1868 წელს ერთს მოხუცებულ ინგლისელ მებატონეს, დარწმუნებულიყო რა, რომ კონსერვატორები იმავ რეფორმებს ანხორციელებენ, რომლებსაც ის-ის იყო რევოლიუციონურად სთვლიდნენ, გულმოსკვნით ეთქვა: „ლიბერალები წამოახტუნებენ ხოლმე კურდღელს (რეფორმებს), ხოლო კონსერვატორები მისდევენ და იჭერენ ამ კურდღელს“.

ჯერ ასე მოსწრებულად, ასე მარჯვედ არავის დაუხასიათებია მოქმედება ინგლისის უმთავრეს პოლიტიკურ პარტიებისა, როგორც ამ მოხუცმა, გაჯავრებულმა მებატონემ დაახასიათა. ხანდახან „მონადირეებს“ დიდი ხნობიც მისდით ხოლმე ერთმანეთთან, როგორც მაგალითად ამ ჟამად, მაგრამ ყველას მაინც უნდა ახსოვდეს, რომ „კურდღელს“ (რეფორმას) არა თუ მარტო წამოახტუნებენ, თავის დროზე მარჯვედაც დაიჭერენ.

ავიღოთ თუნდა ლორდთა პალატის საქმე. წარსულ წლის ივნისში კონსერვატორები ქება დიდებას ასხამდნენ მის სიბრძნეს და უცოდველობას. ლორდებიც ირწმუნებოდნენ, რომ მთელ ინგლისს გატაცებით უყვარს ლორდთა პალატა და გაგიჟებით მოსწონს მემკვიდრეობითი პრინციპიო. ამნაირადვე სწერდნენ კონსერვატიული გაზეთებიც. ეხლა-კი „მებრძოლი“ კონსერვატიული გაზ. „ობსერვე“ უთვალ გვერდს ამტკიცებს, რომ პროტექციონიზმის გასამარჯვებლად უეჭველად საჭიროა ლორდთა პალატის ძირითადი ცვლილება და მემკვიდრეობით პრინციპის ნაცვლად საარჩევნო პრინციპის შემოღებაო. „პალმალ გაზეთ“-ი, რომელიც წარსულ ოქტომბერში ირწმუნებოდა, რომ ინგლისის ლორდთა პალატაზე უკეთესი დაწესებულება შეუძლებელიაო, ეხლა ასეთს „კონსერვატიულს“ პროგრამას ქადაგებს: პროპორციონალური წარმომადგენლობა, დეპუტატებისთვის ჯამაგირის დანიშვნა, მიწის გამოსყიდვა ინგლისში და არჩეული ზედა პალატა. ეს „კურდღელი“ 26 წლის წინად წამოახტუნეს რადიკალებმა, როდესაც ნიუკასტლის პროგრამაში დიდებულმა გლადსტონმა პირველად შეიტანა მოკლე ფორმულა: „შეცვლა, ან მოსპობა“ მემკვიდრეობით კანონმდებელთა (ლორდების) პალატისა. ეხლა ამავე კურდღელს თითონ კონსერვატორები მისდევენ.

ამ დღეებში ლორდ როზბერიმ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ზედა პალატაში. ლორდ როზბერი გამოჩენილი მოღვაწე და დიდად ნიჭიერი კაცი. ყველამ იცის, რომ როზბერის ინგლისის პოლიტიკურ წრეებში აღარა აქვს ისეთი დიდი გავლენა, როგორც წინადა ჰქონდა, მაგრამ მის ბრწყინვალე ნიჭს-კი დღესაც ყველანი აღიარებენ. ლორდ როზბერიმ უთხრა მემკვიდრეობით კანონმდებლებს, რომ ხალხს სძულს მათი თავი და ეს სიძულვილი ყველაზე ძლიერი შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ინგლისშიაო. ეს სიძულვილი „შოტლანდიელებს მამა-პაპით აქვთ შეთვისებული ზედა პალატისადმი და ძვალსა და რბილში, სისხლსა და ხორცში გამჯდარი“. მე-30 წლებში, დიდ რეფორმისთვის ბრძოლის დროს, შოტლანდიაში სახლების კედლებზე აფიშები იყო გაკრული, ზედწარწერით: „ჯოჯოხეთში უნდა ჩაგვართო სისხლის მსმელი მტარვალებიო“ (ლორდებიო). შოტლანდიელები დღესაც ამავე აზრისანი არიან მემკვიდრეობით კანონმდებლებზე. „თქვენ ვერას დროს ვერ შეაცვლევინებთ ამ აზრს შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ინგლისსაო, უთხრა როზბერიმ ლორდებს. რეფორმა აუცილებელია და რაც შეიძლება ჩქარა უნდა განხორციელდეს; საფრანგეთის მაგალითი მე-18 საუკუნის გასულს გვიჩვენებს, როგორ საშიშია მოშწიფებულ რეფორმის დაგვიანება.

ლორდ როზბერიმ მეტად მკაცრად გაკიცხა მთავრობის პროექტი ზედა პალატის რეფორმის შესახებ, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ მთავრობის განზრახვა: ჯერ ლორდთა პალატის „ვეტოს“ უფლება შეიზღუდოს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი განახლება. როზბერის აზრით, ეს იმასა ჰგავს რომ ჯერ ფეხის ძარღვები შეაჭრან ძვირფას ბედაურ ცხენს და მერე დოღში გაუშვან. აღარც ერთი პერი, რომელსაც თავისი თავის პატივი აქვს, არ წავა ასეთს დაუძლურებულ პალატაში, როგორსაც შექმნასაც აპირებს მთავრობაო. ლორდი ისევ სამრევლო საბჭოში არჩევას ამჯობინებს. არც თუ ზედა პალატის სამუდამო წევრებით გავსება უშველის საქმეს. ეხლანდელ ზედა პალატის წუნი ისაა, რომ მემკვიდრეობით პრინციპის წყალობით იგი მოწყვეტილია ხალხისაგან და არ შეუძლიან ხალხის აზრისა და მოთხოვნილების გაგება. „ავიღოთ, მაგალითად, ლიბერალურ პარტიის ორი გამოჩენილი და სახელგანთქმული მოღვაწე—ლოიდ-ჯორჯი და უინსტონ ჩერჩილი. ორივენი მართლაც და ძლიერ ნიჭიერნი არიან. აბა დანიშნეთ ზედა პალატის სამუდამო წევრებად, ჰნახავთ, რომ ერთისა, ან ორი წლის შემდეგ, ისინი იმნაირადვე მოსწყდებიან ხალხსა და ქვეყანას, როგორც ამ პალატის ყოველი წევრია მოწყვეტილიო“.

ლორდ როზბერი მემკვიდრეობით პრინციპის მაგივრად მოითხოვს საარჩევნო პრინციპის შემოღებას: ლორდთა პალატის წევრები უნდა აირჩიონ კორპორაციებმა და საგრაფოების საბჭოებმა. „ლორდი არა ვერს არ წააგებს, პირიქით მოიგებს კიდეც, თუ იგი არჩეული იქნება“.

ასე რომ ლორდ როზბერიც იმ „კურდღლის დევნას“ ურჩევს ლორდებს, რომელიც ლიბერალებმა წამოახტუნეს და გაიგდეს წინა. როზბერი გაცილებით მეტსა თხოულობს, სანამ ის კომიტეტი, რომელიც ლორდებმა აირჩიეს 1908 წელს ზედა პალატის რეფორმის პროექტის შესამუშავებლად. ეს კომიტეტიც აღიარებს, რომ მემკვიდრეობითი უფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ იგი რჩევას იძლევა, ზედა პალატის წევრები თითონ ლორდებმა უნდა აირჩიონ თავიანთ წრიდანაო. მოკლედ კომიტეტის პროექტი ამნაირია: ზედა პალატა შესდგება 348 წევრისგან (ეხლანდელ 622 ნაცვლად): 200 თითონ ლორდების მიერ იქნება არჩეული, 130 „ცენზიანი“ წევრი (ყოფილი მთავარ-მართებლები, გენერლები, ყოფილი მინისტრები და პალატის თავმჯდომარეები), 10 სასულიერო ლორდი, 5 ლორდი—კანონის მცოდნე, 3 პრინცი. მეფესაც შეუძლიან დანიშნოს სამუდამო წევრები, მაგრამ არა უმეტეს 40-ისა. იმ პერებს, რომლებსაც არ აირჩევენ ზედა პალატაში, შეუძლიანთ ქვედა პალატის წევრობაზე წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა.

აქედან ცხადად ჩანს რომ კომიტეტი მეტად უხალისოდ სდევს კურდღელს. მას სწადიან გამაგრება და უარესად გაკონსერვატორება ზედა პალატისა. ამ პალატაში არიან ისეთი წევრები, რომლებსაც სულაც არ უნდათ „სანადიროდ წასვლა“. მათ მეთაურობს მოხუცებული ლორდ უიმისი, რომელიც ჰკიცხავს ლორდ როზბერის იმის გულისთვის, რომ იგიც „სხვა თუთიყუშებს აჰყვა და უგვირილი მორთო: ზედა პალატა უნდა შეიცვალოსო“. რა უნდა შეიცვალოს, ან რისთვის? ზედა პალატა ისეთი იდეალური დაწესებულებაა, რომ მთელს ქვეყნიერობას ჰშურს, რად უნდა შეიცვალოს? იქნება იმისთვის, რომ იგი მუდამ იცავდა ინგლისის თავისუფლებას და წარსულ ნოემბერში თავის მოვალეობა შეასრულა? უკიდურესმა ლორდებმა ამ ჟამად დააარსეს საზოგადოება, რომელშიაც ასი წევრი ითვლება. აქ სულ ისეთი ლორდები შედიან, რომლებიც, როგორც უნდა რეფორმა მოახდინონ, მაინც არასდროს აღარ მოჰყვებიან პარლამენტში. მაგრამ ესენი ძლიერ ცოტანი არიან და „ნადირობას“ ხელს ვერ შეუშლიან. „კურდღელი“ უკვე გარბის და ვინმე უთუოდ დაიჭერს იმას. („რ. ვ.“)

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენს პატ. გაზეთ „დროება“-ში ადგილი დაუთმოთ ამ მცირე მადლობის წერილს. გულითად მადლობას ვწირავ ქ-ნთ მ. მდივანს, ნ. რიონელს, ბ. შოთაძე; ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილს, გ. გედევანოვს, ალ. იმედაშვილს და სხვათა, რომელთაც ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენა-„ჰამლეტ“-ში უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა.

შემოვიდა 361 მ. 55 კ. ხარჯი: თეატრის ქირა—135 მ., ვეშოლკა და მარკა—55 მ. 17 კ., საზოგადო ხარჯი—72 მ. 38 კ., სულ 262 მ. 55 კ. დარჩა 99 მ. ქართ. დრამ. დასის სასარგებლოდ.

**ბ. ბეგლარიძე.**


# ნამყენი ვაზი

რქა-წითელა, საფერავი, მწვანე და, ამას გარდა, სადესერტო სორტები. იყიდება. ფასი: ასი ცალი 5 მან., 10 ცალი სადესერტო—1 მან. შეკითხვა სად. ქსანკაზე, **მიტროფანე ვანჩენკო.** (2—1044—1)

# ქუთაისში

**◀ კიწმარაშვილის და ამხ. ▶**

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—5)

**იყიდება** იაფად მიწის ნაჭერი, 292 ოთხკ. საჟ. (ფასადი 16 საჟენი) მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის პირდაპირ. ნაჭერი შეიძლება ორად გაიყოს. აქვე ჩერდება ტრამვაი. იკითხეთ: გრიბოედოვის ქ., 30, მარჯვნივ შუაზარა. (5—1043—3)

# სამანუფაქტურო მაღაზია
# ა. ი. ამირაღოვისა

**თამამშევის ქარვასლაში №№ 19, 20, 22 და 23.**

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ არა ჩვეულებრივი სიიაფეა საქონლისა:

**სიურა**—არშინი 35 კაპ.
**ატლასი**—10/16 ვერ. 25 კ. არ.
**ატლასი**—11/16 ვერ. 45 კ. არ.
**ფლორენტინი**—35 კაპ. არშ.
**რალამე**—48 კაპ არშინი.
**ბურსო**—70 კაპ. არშინი.

**სატინა მერველიე** 1 მან. არშ.
**სატინა მერ სანჟი**—70 კ. არშ.
**ფაია ფრანგული** სახიან. 1 მ.
**მანჩესტერი**—40 კაპ. არშ.
„ სახიანი—50 კაპ. არშ.
**ხავერდი**—რომელიც წინად 1 მან. 60 კაპ. ფასობდა, ეხლა 70 კაპ. არშ.

**შალის საქონელი მოსკოვის ფაბრიკებისა** $1\frac{1}{2}$ არშინის სიგანისა 30% დაკლებით იყიდება. **ვუალი** მატყლისა სახიანი 60 კაპ. არშ. **საზღვარ-გარეთისა** საზაფხულო, რომელიც წინად 1 მ. 65 კ. იყიდებოდა არშინი, ეხლა 60 კაპ.

**ავეჯეულობის პლუში** ხარისხი B. 2 მ. და 2 მ. 20 კ. ხარისხი Б. 2 მ. 75 კ. არშინი. ხარისხი A. 3 მან. არშინი.
**ავეჯეულობის ატლასი** ხარისხი П. 26 ვერ. 1 მ. 30 კ. ხარისხი I. „ „ 2 მ. 25 კ.
**ავეჯეულობის „ბახრომა“** 10 კაპ. და 18 კაპ. არშ.

**ბახრომა** ბადით—1 მან. 20 კ. არშ.
**აბრეშუმის პლუში** $10\frac{1}{2}$ ვერ. 1 მ. 20 კ.
„ „ 14 ვერშ. 1 მ. 70 კ.

**ფასები შეუვაჭრებლად.** (5—178—2)


# ანგარიშთა მდგომარეობა

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

**1 იანვარს 1910 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კასსა, ნაღდი ფული . . . | | 11566 | 87 |
| 2. სახელდახელო ანგარიში: | | | |
| ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში. . . . . . . . | 130,— | | |
| ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ. | 1392,88 | 1522 | 88 |
| 3. სარგებლ. ქაღალ. . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 896,38 | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. . „ | — — | 896 | 38 |
| 4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 40581 | 37 |
| 5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა . . . . | | 9818 | 07 |
| 6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. იანხა იხ. გ. პას.) | | 5999 | 80 |
| 7. სესხი გაც. გირავ. . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ. . . . . | — — | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ . . | 8740,— | | |
| გ) შავ ქვაზე (2393335 ფ.) . | 94731,21 | | |
| დ) საქონელზედ . . . . | 1340,— | 104811 | 21 |
| 8. კორესპონდენტ. . . . . | — — | | |
| ა) იმათ ანგარ. . . . . | 2715,76 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. . . . | 1,— | 2716 | 76 |
| 9. ვერბ. ქაღალდ. და თამ. . . | | 52 | 21 |
| 10. მოწყობა-გამართვა საზოგად. . | | 2567 | 97 |
| 11. ხარჯი დასაბრ. . . . . | | 1556 | 60 |
| 12. ზარალი 1905 წ. . . . | | 218 | 78 |
| 13. მიმდინარე ხარჯი . . . | | — | — |
| 14. მიცემული სარგებ. და კომისია. | | — | — |
| **ბალანს** | | **182308** | **90** |

(მართებს) პასსივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. საწ. ფულით 212 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე . . . | | 19030 | — |
| 2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 361 | 24 |
| 3. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო . . . . | 5269,30 | | |
| ბ) ამორტიზაც . . . . | 1532,64 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—9 წ. მოგებიდან . . . . . | 5999,80 | 12801 | 74 |
| 4. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . | 21629,72 | | |
| ბ) ვადით . . . . . | 23097,94 | | |
| გ) უვადოთ . . . . . | 400,— | 45127 | 66 |
| 5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ: | | | |
| ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან. | 16270,— | | |
| ბ) აზ. დ. კ. ბანკ. ქუთ. განყ. | 11155,— | 27425 | — |
| 6. საგანგებო საზ. ანგარ. უზრ.-ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. . | 684,52 | | |
| ბ) შავის ქვის . . . . | 27831,42 | 28516 | 01 |
| 7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . | | 35888 | 40 |
| 8. კორესპონდენტ.: | | | |
| ა) იმათის ანგარ. (Loro) . . | 3716,95 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) . | 6332,40 | 1049 | 35 |
| 9. გადასაგზ. შემოტ. ფული . . | | — | — |
| 10. გარდამავ. თანხა . . . . | | 2493 | 69 |
| 11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა . . . . | | 376 | 52 |
| 12. 5 პროც. სახელ. გარ. . . | | 136 | 68 |
| 13. წმინდა მოგება 1909 წლისა . | | 102 | 61 |
| 14. შემოსული სარგებელი . . | | — | — |
| **ბალანს.** | | **188099** | **99** |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**
ბუხჰალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: **თ. ვ. ჯაყელი.** **ა. ზ. გალუსტოვი.**